ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №9

06.05.2022 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
10:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
4. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (12-0322123117-03; 03.05.2022).

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ. ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს სთხოვა წარედგინათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

გ.თალაკვაძემ ვრცლად ისაუბრა 2022 წლის დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შესახებ და გამოთქვა მზადყოფნა კითხვების არსებობის შემთხვევაში, დეტალურად განეხილა საკითხი.

როგორც მან განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრებიდან მიღებული შემოსავლების ბიუჯეტში ასახვით. კერძოდ, იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - **154,5 ათასი ლარით** (ქალაქ თბილისის მუნიციპაიტეტის ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის 2022 წლის 26 აპრილის N70-01221161241 წერილი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით

ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ **154,5 ათასი ლარით** და შეადგენს **1 392 233,5** ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონების გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) ქვეპროგრამის ასიგნებები - **28 253,6 ათასი ლარით.** აღნიშნული ცვლილება გამომდინარეობს იქიდან, რომ საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება - ქვეპროგრამით **(კოდი 06 02 11)** გათვალისწინებული ღონისძიებები დაფინანსდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდიის (კოდი 01 02 05) ქვეპროგრამის ფარგლებში. შესაბამისად, **06 02 11** ქვეპროგრამის ასიგნებები შემცირდება **28 253,6 ათასი** ლარით, რაც როგორც აღინიშნა დაემატება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდიის ქვეპროგრამას.

- სარეზერვო ფონდი **(კოდი 10 22) - 3 120,0 ათასი** ლარით.

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება III ფაზა (კოდი 10 25) პროგრამის ასიგნება - **3 120,0 ათასი** ლარით.
- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 1042) - **200,0 ათასი** ლარით.

დასასრულს, **ლ. მიქავამ** აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **1 317 454,0 ათასი** ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება **74 779,5 ათასი** ლარით. ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი კი განისაზღვრა **1 242 354, 0 ათასი** ლარის ოდენობით, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა **(54 448,9)** ათასი ლარით.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხი:

- მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული თბილისის საკრებულოში წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27

დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (12-0322123117-03; 03.05.2022) საკრებულოს სხდომაზე გატანა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0322123117-03; 03.05.2022) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე